Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

Human Rights and Healthcare in Prisons and Other Closed Institutions in Georgia II

საინფორმაციო ბიულეტენი
თებერვალი, 2017

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა 200-მდე თანამშრომელი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მართვის საკითხებზე გადამზადდა

ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ორგანიზებით, 7-დან 15 თებერვლამდე პერიოდში, პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა დირექტორებისათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მართვის საკითხებზე 8 ტრენინგი გაიმართა. სულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 200-მდე თანამშრომელმა, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს დაწესებულებებიდან.

იხილეთ მეტი ...

დაზიანების სათანადო აღწერის ტექნიკის გაუმჯობესების მიზნით გადამზადებული სამედიცინო პერსონალის რიცხვი იზრდება

4-6 თებერვალს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისმა და ევროკავშირის დელეგაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომუშავე სამედიცინო პერსონალისთვის 3 დღიანი ტრენინგი გამართა. სწავლების დროს მონაწილეებმა, სხვა პრაქტიკულ სამუშაოებთან ერთად ექიმებისთვის ახლად დამტკიცებული ინსტრუქციების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. საერთო ჯამში,

იხილეთ მეტი ...

პირველად საქართველოში სასწავლო პროგრამა ფსიქიატრიული ექთნებისთვის

ევროპის საბჭოს ოფისი და ევროკავშირის დელეგაცია ეხმარებიან საქართველოს ფსიქიატრიული ექთნების გადასამზადებლად სასწავლო პროგრამის შემუშავებაში. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების გუნდმა უკვე შეიმუშავა პროგრამის თავდაპირველი ვერსია, რომელიც 9-10 თებერვლის შეხვედრაზე გახილულ იქნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ექთანთა ასოციაციის წარმომადგენლების, მოწვეული პრაქტიკოსი ექიმებისა და ექთნების მიერ.

იხილეთ მეტი ...

შსს აკადემიის მხარდაჭერა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში

ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში და პოლიციის აკადემიის რექტორმა ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის ამოცანაა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებისათვის დისტანციური სასწავლო კურსის მომზადება. ტრენინგის პროგრამა მიზნად ისახავს მონაწილეთა აღჭურვას როგორც თეორიული ცოდნით შესაბამის სფეროებში (საკანონმდებლო ბაზა, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები, ჯანდაცვის სტანდარტები და სხვ.), ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებას თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

იხილეთ მეტი ...

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დროებითი მოთავსების იზოლატორებში პირობების გაუმჯობესებასა და დამატებითი სერვისების ხელმისაწვდომობაზე

2017 წლის 23 თებერვალს ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გამართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დროებითი მოთავსების იზოლატორებში პირობების გაუმჯობესებასა და დამატებითი სერვისების შეთავაზებაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

იხილეთ მეტი ...

სუიციდის პრევენციის პროგრამის განმტკიცება პენიტენციურ სისტემაში

ვაგრძელებთ პენიტენციურ სისტემაში სუიციდის პრევენციის პროგრამის დანერგვის მხარდაჭერას. ამ პროცესის ფარგლებში გრძელდება კასკადური ტრენინგები პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებისათვის. ხუთი სამდღიანი ტრენინგი ჩატარდება რუსთავში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში და სამი ქუთაისში, სახალხო დამცველის ოფისში.

იხილეთ მეტი ...

სუიციდის პრევენციის პროგრამის ინსტრუმენტების განვითარება

ევროპის საბჭო და ევროკავშირი აგრძელებენ სასჯელაღსრულების სამინისტროს მხარდაჭერას, ციხეებში სუიციდის პრევენციის პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. პროგრამის სამომავლო გაძლიერების მიზნით ევროპის საბჭოს საერთშორისო ექსპერტებმა შესაბამისი ინსტრუმენტები შეიმუშავეს.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გასაუმჯობესებლად!